

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

15.10.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

**ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**გრიგორ ტატიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ზაზა რუხაძე** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი, პროფესორი, სხდომის მდივანი; **მარინე ჩიტაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ლაშა გოცირიძე** - ა(ა)იპ - ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი;

**თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

**ნათა სამუშა - ა(ა)იპ** - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი;

**ირაკლი მჭედლიშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

**დავით კახნიაშვილი** - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;

**გიორგი ვეკუა** - საქართველოს საგამო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცნობრის (შემდგომში - ცნობრი) წარმომადგენლები:

**ლაშა მარგიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლალი გიორგიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

**თამარ შენგელია** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

**ნინო ფოფხაძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

**მარიამ ლამბაშიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლი:

6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სამართლებულებების ავტორიზაციის სამსახური  
მდგრადი მუშაობის განვითარების და მოვალეობის განვითარების მინისტრი  
საქართველოს მთავრობის მინისტრი

**დავით აფრასიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

### საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

ილიას ჩილოდლუ - რექტორი;

გოდერძი ბუჩაშვილი - პროფესიონალი;

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შუდრა - იურიდიული სამსახურის უფროსი;

იოსებ ბარათაშვილი - ადვოკატი;

მარიამ ჩიქოვანი - ადვოკატი;

შორენა დევაძე - ადვოკატი;

ოთარ გვაზავა - საგადასახადო კონსულტანტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:04 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უზელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა ზაზა რუხაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26<sup>5</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26<sup>7</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ავტორიზაციის დებულების 26<sup>6</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით აფრასიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

6. თებერვალი  
2018

## 1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო იქმისთვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების ადვოკატის მიერ წარმოდგენილ იქნა ზეპირი შუამდგომლობა სხდომის აუდიო და ვიზუალურ გადაღებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, მიზანს წარმოადგენდა ფართო საზოგადოების ინფორმირება სხდომის შინაარსთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს განემარტათ საბჭოს წევრებისთვის სხდომის გადაღებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხი.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის განცხადებით, სააპელაციო საბჭო წარმომადგენდა კოლეგიურ ორგანოს, რომელიც თავად იღებდა გადაწყვეტილებას, სხდომის ჩაწერის თაობაზე. თუ საბჭოს წევრების უმრავლესობა განაცხადებდა თანხმობას სხდომის აუდიო ვიზუალური ჩაწერის თაობაზე, ამ შემთხვევაში განხორციელდებოდა ჩაწერა.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, კერძოდ, შუამდგომლობა ეხებოდა მხოლოდ სხდომის ჩაწერას თუ ასევე ტრანსლირებას ცენტრის შენობის გარე ტერიტორიაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა საბჭოს წევრს, რომ შუამდგომლობით მოთხოვნილი იყო სხდომის ტრანსლირება და ჩაწერა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ აქამდე საბჭოს მსგავსი პრაქტიკა არ ჰქონდა და მან ინტერესი გამოხატა, თუ რით იყო განპირობებული აღნიშნული მოთხოვნა. მისი მოსაზრებით, ადგილი ჰქონდა საბჭოს მიმართ უნდობლობის გამოხატვას. ამასთან, მისი განცხადებით საბჭო თავისუფალი უნდა ყოფილიყო თავისი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში, შესაბამისად, ტრანსლირების პირობებში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გარეთ მყოფი პირები ზეგავლენას ახდენდნენ საბჭოს წევრებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ნდობას გამოხატავდა აპელაციის საბჭოს წევრების მიმართ. ამასთან, წარმოდგენილი შუამდგომლობა ეხმიანებოდა მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს აღნიშნული საქმის მიმართ. ფართოდ შუქდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, რომელთან მიმართებითაც მრავალი მოსაზრება გამოითქვა, აქედან გამომდინარე აზრთა სხვადასხვაობას, რომ

არ ჰქონდა სამომავლოდ ადგილი, დაწესებულება ითხოვდა საბჭოს სხდომის მიმდინარეობის ჩაწერას.

საბჭომ თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს სხდომის მიმდინარეობის აუდიო ვიზუალური ჩაწერის საკითხი, პირდაპირი ტრანსლირების გარეშე. საბჭოს წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკითხს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, ნათა სამუშაომ. მან განმარტა, რომ ის მხარს უჭირდა დაწესებულების მიერ დაყენებულ შუამდგომლობას, კერძოდ სხდომის ჩაწერასა და ამავდროულად ტრანსლირებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მარინე ჩიტაშვილმა განცხადა, რომ ის იზიარებდა საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. მისი განცხადებით, ტრანსლირება იქნებოდა ირიბი ზემოქმედება საბჭოს წევრებზე. რაც შეეხებოდა ჩაწერას, იგი წინააღმდეგი არ იყო, ფართო საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, რათა მათ უზრუნველყოთ გადამოწმება მიმდინარეობდა, თუ არა ცენტრს ფარგლებს გარეთ საბჭოს სხდომის ტრანსლირება. ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, ტრანსლირება მოცემულ ეტაპზე არ მიმდინარეობდა ცენტრის ეზოში.

ცენტრის წარმომადგენლებმა საბჭოს წინაშე დააყენეს შუამდგომლობა სხდომის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს ცენტრის შუამდგომლობა.

დაწესებულების ადვოკატმა, იოსებ ბარათაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა საჩივრის შინაარსი:

2018 წლის 20 აგვისტოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (ს/კ:229275405) 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2 500-ით; ამავე დროს, უნივერსიტეტს სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდა 1 წლის ვადით. ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული ოქმი გამოქვეყნდა 2018 წლის 31 აგვისტოს. გადაწყვეტილების მიხედვით, „საბჭომ უფლებამოსილების ფარგლებში განიხილა 2 სტანდარტთან შესაბამისობა: „ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ (სტანდარტი 2) და „მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები“ (სტანდარტი 7). საბჭომ კონკრეტულად იმსჯელა 2.1 სტანდარტის მოთხოვნაზე, კერძოდ, შესაძლო რისკების გათვალისწინებით, ზიზნეს უწყვეტობის გეგმის არსებობაზე, რომელშიც არ იყო დეკლარირებული დავალიანებისა და ყადაღის საკითხები და მათი მოგვარების გზები. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი პირდაპირ უკავშირდებოდა 7.1 სტანდარტის მოთხოვნებს და მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭომ იმსჯელა და სტანდარტის შეფასების შედეგებს გადახედა მხოლოდ 7.1 სტანდარტის ნაწილში. კერძოდ, ერთი კომპონენტი შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ხოლო მთლიანობაში სტანდარტი - ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტის ამგვარი შეფასების საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს მხოლოდ ერთი სახის გადაწყვეტილება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ“.


რ. თემურ გრიგორიაშვილი

მიგვაჩნია, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდა 1 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 3500 სტუდენტისა, განისაზღვრა 2500 სტუდენტით, არაობიექტური, დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგოა, რის გამოც იგი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი ბათილად ცნობის მითითებებით, ხელახლა განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს ავტორიზაციის საბჭოს. ჩვენი პოზიცია დაფუძნებულია შემდეგ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე: 1. 2018 წლის ივლისში მომზადდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ შესახებ დასკვნის მომზადებას წინ უძღვდა რამდენიმეთვაინი სამუშაო, რომელიც ჩატარდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დასკვნიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი სრულად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს ყველა დაწესებულ სტანდარტს და არ არსებობს იმგვარი სტანდარტი, რომლის მოთხოვნებსაც უნივერსიტეტი ვერ პასუხობს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში განხილულია უნივერსიტეტი არსებული მდგომარეობის შესაბამისობა 2.1 სტანდარტის მოთხოვნებთან და აღნიშნულია შემდეგი: „თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზზე დაყრდნობით, გუნდმა დაადგინა, რომ შპს ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ყველა დონეზე, განისაზღვრება ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებასა და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუდან ნათელია, რომ ისინი იცნობენ და ასრულებენ უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში განსაზღვრულ ფუნქციებსა და მოვალეობებს. უნივერსიტეტის თანამშრომლები კარგად იაზრებენ თავიანთ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს და აქვთ სათანადო გაგება თავიანთი ადგილის შესახებ უნივერსიტეტის მართვის სისტემაში. სტუდენტებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ნათელია, რომ მართვის ორგანოების გადაწყვეტილებები დროულია. თანამშრომლების ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ნათელია, რომ უნივერსიტეტის აქვს მმართველი ორგანოების შერჩევისა და დანიშნვის წესი, რომელიც გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. დოკუმენტებით ნათელია, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრები (საბაზისო საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი) საბჭო, აკადემიური საბჭო). თუმცა, სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნული შესაძლებლობების შესახებ მათი ცნობიერება დაბალია. სტრუქტურულ ერთეულებთან შეხვედრებისას დაფიქსირდა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები ერთმანეთს უსმენენ და ერთად კარგად მუშაობენ. ვიზიტის დროს აშკარა იყო, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაცია კარგად არის აგებული. უნივერსიტეტის მცირე მასშტაბის გამო, კომუნიკაციის ფორმალური და არაფორმალური არხები წარმატებით არის გამოყენებული თანამშრომლებს შორის, ასევე თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის. ასევე მისასალმებელი ფაქტია, რომ მმართველი სტრუქტურები და პერსონალი მზად არიან ინოვაციების მისაღებად, მიუხედავად იმისა, საიდან ან რა ფორმით იღებს სათავეს ახალი იდეები. შემფასებელი გუნდის თვალსაზრისით, ეს მიდგომა IBSU-

ს სტუდენტებისთვის კარგი მაგალითია. საქმიანი პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, IBSU-მ შეიმუშავა ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა. გეგმა მოიცავს ყველა მირითად რისკს, ისევე როგორც შესაძლო პრევენციულ ზომებს, დროის მონაკვეთებსა და განსახორციელებელ ზომებს. თუმცა, გეგმა სრულად არ ასახავს ყველა იმ შესაძლებლობებსა და რესურსებს, რომლებიც IBSU-ს გააჩნია ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის მენეჯმენტთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ, როცა საქმე ეხება საურავებთან და ჯარიმებთან დაკავშირებულ რისკებს ან გადასახადებს, უნივერსიტეტს აქვს საკითხის გადაჭრის უფრო მეტი ალტერნატივა, ვიდრე ეს წარმოდგენილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმაში. მაგალითად, უნივერსიტეტს რამდენიმე წელია აქვს სასამართლო დავა, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უნივერსიტეტს აქვს ალტერნატიული ქმედებების შესაძლებლობა სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე (ინფორმაცია მოპოვებულია ინტერვიუებიდან), ეს გარემოება არ არის ასახული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმაში. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში განხორციელდეს საკუთრების უფლების გადაცემა და ეს ასევე უნდა აისახოს უწყვეტობის გეგმაში. უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება და გეგმავს ამ მიმართულებით სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებას (მობილობა, ერთობლივი პროგრამები, საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირება). შესაბამისად, უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა PR ტექნოლოგიებს და მარკეტინგულ მიდგომებს. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაღრმავების მიზნით, აუცილებელია საერთაშორისო ბაზარზე ფოკუსირება და მკაფიოდ განსაზღვრული მარკეტინგული სტრატეგიის „შემუშავება“ (იხ. Report of Authorisation Evaluation of International Black Sea University; 2018; გვ.8-9 და აღნიშნული დასკვნის ქართული თარგმანი). რაც შეეხება უნივერსიტეტის მდგომარეობის შესაბამისობას 7.1 და 7.4 სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნებთან, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებულია, რომ „IBSU ფლობს მატერიალურ რესურსებს, რომელიც შეესაბამება გაცხადებულ მისიას და საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. კამპუსი შედგება ფოიესგან, რეკრეაციული სივრცისგან, აუდიტორიებისგან, ადმინისტრაციული ოფისებისგან, ჯგუფური სამუშაოს სივრცეებისგან, ბიბლიოთეკისგან, კომპიუტერული ლაბორატორიებისგან, სტუდენტთა და თანამშრომელთა სასადილოსგან, სავარჯიშო დარბაზისგან, სტადიონისგან. უსაფრთხოების ზომები დაცულია შენობაში, IBSU-ს გააჩნია სახანძრო სიგნალიზაცია, ცეცხლმაქრობი და ევაკუაციის გეგმა შენობის ყველა ნაწილში. IBSU უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას, ამ მოვალეობის შესასრულებლად დანიშნულია სამედიცინო ჯგუფი და შენობაში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ყველა მოწყობილობით. უნივერსიტეტს აქვს დაცვის ვიდეო ჩამწერი და მეხსიერების სპეციალური დანადგარები; უსაფრთხოება ასევე დაცულია საბარათე სისტემითა და დაცვის თანამშრომლების საშუალებით, შესაბამისად ვერცერთი გარეშე პირი ვერ შეაღწევს შენობაში. შენობაში დაცულია სანიტარული ნორმები, გარკვეული ნაწილი ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებზე. სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს თავისუფლად გადაადგილება შეუძლიათ უსდ-ს მხოლოდ ერთ შენობაში, რომელიც უზრუნველყოფილია პანდუსებით, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არის სპეციალური საპარკინგე ადგილი გამოყოფილი სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამას დასჭირდება სამოდელო სივრცე, რაც გათვალისწინებულია

პროგრამის განვითარებაში. პროგრამამ ცოტა ხნის წინ მიიღო აკრედიტაცია და მოცემულ ეტაპზე უსდ მუშაობს ამ საკითხზე. ახალი კამპუსის განვითარების შესახებ აღნიშნულია სამოქმედო გეგმაში, გადასვლა დაგეგმილია 2021 წლამდე. უსდ არ ასახელებს გადასვლის კონკრეტულ დროს და არც ის არის ცნობილი საკუთრებაში დაიტოვებენ თუ არა ამჟამინდელ კამპუსს. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, უნივერსიტეტის მთლიანი საბიუჯეტო შემოსავალი 2017-2018 წლებში შეადგენს 7,603,750 ლარს, მაშინ როდესაც საერთო განსაზღვრული დანახარჯი შეადგენს 7,341,344 ლარს. უნივერსიტეტის შემოსავლის მთავარი წყაროებია: სწავლის საფასური; სახელმწიფო გრანტი; TOEFL საგამოცდო ცენტრი; IBSU-ს ტრენინგ ცენტრი / სწავლის პროგრამები ასაკის შეუზღუდავად; კონფერენციები - საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის საფასური; საერთაშორისო და ეროვნული პროექტები და სამეცნიერო გრანტები. იმავე აკადემიური წლის ბიუჯეტის მთავარი ხარჯები მოიცავს შემდეგს: პერსონალის სახელფასო ხარჯებს; აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხარჯებს; საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის ხარჯებს; სამეცნიერო პუბლიკაციების ხარჯებს; წიგნების, ურნალების, გაზეთების შეძენის ხარჯებს; წიგნების ბეჭდვის ხარჯებს; მარკეტინგულ ხარჯებსა და ა.შ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსები საიმისოდ, რომ განახორციელოს სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობები. ადმინისტრაციასთან გამართულ შეხვედრაზე ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტი გეგმავს შეამციროს ადმინისტრაციული ხარჯები. ამჟამინდელი პერიოდის მიმართება ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საერთო ბიუჯეტს შორის არის 57%, 2021 წლისთვის მიმართების შემცირება ნავარაუდევია 55 პროცენტამდე. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს კვლევაზე გამოყოფილი საერთო ფინანსების გაზრდას, 2021 წლის მთლიანი ბიუჯეტიდან განვითარებასა და შემოქმედებით მიდგომებზე დაფუძნებული საქმიანობები 3%-დან 5%-მდე გაიზრდება. უნივერსიტეტს აქვს ფინანსური კონტროლის შიდა და გარე მექანიზმები. ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის მექანიზმები განვითარდა, რომლებშიც წარმოდგენილია რეგულაცია და პასუხისმგებლობების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების გადანაწილების ფორმები. ყოველწლიურად, IBSU-ის მიერ დაქირავებული აუდიტორული კომპანია შეისწავლის ბუღალტერიის მიერ განხორციელებული ფინანსური საქმიანობის ლეგიტიმურობას, ადგენს შესაბამის საანგარიშო. წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია საკონსულტაციო კომპანიის მიერ მომზადებული უნივერსიტეტის ფინანსური ანალიზის დასკვნა 2013-2017 წლებში. დამატებით, უნივერსიტეტმა დაიქირავა მრჩეველი საგადასახადო საკითხებში. უნივერსიტეტის შემოსავლების დინამიკა 2013-2017 წლებში და ჩარიცხული სტუდენტების წლიური რიცხვი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სტრატეგიულ და ოპერაციულ გეგმებში გაწერილი აქტივობები წარმატებით განხორციელდა. 2.1 სტანდარტში მითითებულ მიმდინარე სასამართლო საქმეზე უნივერსიტეტმა აჩვენა, რომ მას საკმარისი თანხები აქვს სადაცო თანხის დასაფარად. უნივერსიტეტი განმარტავს, რომ საქმის დაცვა ეფუძნება უფრო პრინციპებს, ვიდრე გადახდისუნარიანობას" (იხ. Report of Authorisation Evaluation of International Black Sea University; 2018; გვ.26-27;29-30 და აღნიშნული დასკვნის ქართული თარგმანი). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ზემოაღნიშნული დასკვნა ცხადყოფს შემდეგს: 1. დასკვნის შედგენის დროს, ექსპერტთა ჯგუფისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ უნივერსიტეტი აწარმოებს სასამართლო დავას, თუმცა ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი თანხები სადაცო თანხის დასაფარად და უნივერსიტეტის მიერ სასამართლოში


საქმის წარმოება მიზნად ისახავდა სამართლებრივი პრინციპების დაცვას. როგორც ექსპერტთა დასკვნიდან ირკვევა, უნივერსიტეტის მდგომარეობა შესაბამისი იყო 2.1 და 7.4 სტანდარტების მოთხოვნებთან. 1. ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში განხორციელდეს საკუთრების უფლების გადაცემა, თუმცა დასკვნაში არსად არის მითითებული, რომ უნივერსიტეტის შესაძლო გასხვისება წარმოადგენდა მნიშვნელოვან ან/და გადამწყვეტ ფაქტორს ფინანსური რისკების განსაზღვრის დროს. დასკვნის შესაბამისად, უნივერსიტეტის მთლიანი საბიუჯეტო შემოსავალი 2017-2018 წლებში შეადგენს 7603750 ლარს, უნივერსიტეტის შემოსავლის მთავარი წყაროებია: სწავლის საფასური; სახელმწიფო გრანტი; TOEFL საგამოცდო ცენტრი; IBSU-ს ტრენინგ ცენტრი, კონფერენციები - საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის საფასური; საერთაშორისო და ეროვნული პროექტები და სამეცნიერო გრანტები. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის ენდრიუ გიბსის მიერ 2018 წლის 18 აგვისტოს ელექტრონული ფოსტით, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი იქნა წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ექსპერტთა დასკვნის ის ნაწილი, რომელშიც განხილული იყო უნივერსიტეტის მდგომარეობის შესაბამისობა 2.1 და 7.4 სტანდარტებთან, მოიცავდა იმ შემთხვევასაც, თუ უნივერსიტეტის მესაკუთრები არ შეიცვლებოდნენ. ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნა სკაიპით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ე.გიბსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი შთაბეჭდილება „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“ დაკავშირებით მთლიანობაში იყო პოზიტიური, თუმცა საჭირო იყო, უნივერსიტეტს გაეგრძელებინა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განვითარება (იხ. ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი #09; გვ.17). აქედან გამომდინარე, არასწორი და დაუსაბუთებელია ავტორიზაციის საბჭოს მსჯელობა იმის თაობაზე, თითქოს უნივერსიტეტის გასხვისების შესახებ მითითება წარმოადგენდა მისთვის ფინანსური რისკების თავიდან არიდების ერთადერთ და ძირითად არგუმენტს. უნივერსიტეტის სათანადო წესების დაცვით წარდგენილი ჰქონდა ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დეკლარირებული და გათვალისწინებული იყო რისკები სასამართლო დავებიდან გამომდინარე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ჰქონდა და აქვს სრული ფინანსური დოკუმენტაცია - აუდიტის მიერ გაცემული დასკვნა - ფინანსური ანგარიშგებები, ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა. სიმართლეს არ შეესაბამება მტკიცება, თითქოს რექტორმა საბჭოზე ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დოკუმენტი ფორმალური ხასიათის იყო და არ სურდა ფინანსური პრობლემების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროება. საბჭოს ზეპირი მოსმენის აუდიო, ვიდეო და სტენოგრაფიული ჩანაწერის ადასტურებს ამ ფაქტს. სააპელაციო საბჭოს ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებას, რომ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ 2013-2017 წლების ფინანსური ანგარიშის ანალიზის თაობაზე აუდიტის დასკვნაში დეტალურად არის ასახული ის საგადასახადო მოთხოვნები, რომლებიც 2014-2017 წლებში იყო წაყენებული უნივერსიტეტის მიმართ და სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით არის განსაზღვრული და შეფასებული უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა (იხ. დანართი 10 - აუდიტის დასკვნა შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ 2013-2017 წლების ფინანსური ანგარიშგების ანალიზი). შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილშიც ავტორიზაციის საბჭოს მსჯელობა დაუსაბუთებელი და არაობიერებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფისათვის, ისე ავტორიზაციის საბჭოსათვის კარგად იყო



ცნობილი იმ სასამართლო დავების არსი, რომელსაც დღეისათვის აწარმოებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“; კერძოდ, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 05 აგვისტოს N36153 ბრძანების საფუძველზე, გამოცემული იქნა საგადასახადო მოთხოვნა N045-1 (05.08.2014), რომლითაც შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით დაერიცხა 1 648 201.24 ლარი. აღნიშნული დარიცხვა უნივერსიტეტის მიერ გასაჩივრებული იქნა კანონით დადგენილი წესით. დავალიანების ოდენობასთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარეობს საგადასახადო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2017 წლის 16 თებერვალს, სსიპ შემოსავლების სამსახურმა სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ და მასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების ცრუმაგიერ პირებად აღიარების მოთხოვნით (საქმე N3/1232-17). მოსარჩელის მხრიდან მოპასუხების ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" 2017 წლის 07 თებერვლის მდგომარეობით არსებული საგადასახადო დავალიანების 1 051 912 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდევინების უზრუნველყოფა. მანამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 08 თებერვლის განჩინებით დაკავშირებილდა სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა და მათ მიერ სარჩელის აღმოჩენის მიზანით დავალიანების უნივერსიტეტის უძრავ ქონებას და წილებს (იხ. დანართი #6 - სასამართლოს განჩინება -08.02.2017). ყადაღის დადების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ აღნიშნული პირების ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარებით საგადასახადო ორგანო მიიღებდა უფლებას ცრუმაგიერი პირის მიმართ განეხორციელებინა შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად ცნობის მიზანია აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისმიერების განხორციელება (დავალიანების ამოღება), რომელიმე ცრუმაგიერი პირიდან, ვინაიდან ვალდებული პირის მიერ სხვა იურიდიული პირის კონსტრუქცია გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისმიერებისთვის თავის არიდების მიზნით. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ ცრუმაგიერ პირებად ცნობის თაობაზე დავის დაწყების იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა ის, რომ თუ დღის წესრიგში დადგებოდა შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის“ დაკისრებული გადასახადების ამოღების საკითხი და კომპანიის ქონება ამისთვის არასაკმარისი იქნებოდა, სსიპ შემოსავლების სამსახურს შეძლებოდა იძულებითი ღონისმიერების გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომელთა ცრუმაგიერ პირებად ცნობასაც ითხოვდა. აღნიშნულ სადავო საკითხზეც ამჟამად, მიმდინარეობს დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2018 წლის 12 იანვარს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ დარიცხული ჯარიმა შეამცირა 715 433.01 ლარამდე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლო დავები გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, გადასახდელი აქვს თუ არა შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 715 433.01 ლარი და მოცემულ შემთხვევაში, გარკვეული უნდა ყოფილიყო აქვს თუ არა უნივერსიტეტის შესაძლებლობა, გადაიხადოს აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში იმ შემთხვევაში, თუ მომავალში, სასამართლოს კანონიერ მალაში შესული გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის დაეკისრება აღნიშნული თანხის გადახდა. ავტორიზაციის

6. თუმჯ-ჭრ

საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ 2018 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე, უნივერსიტეტის რექტორმა საბჭოს წარუდგინა საბანკო ამონაწერი, რომლის თანახმად, უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ირიცხებოდა 739 720 ლარი (იხ. სხდომის ოქმი #09; გვ.21), თუმცა საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საბანკო ამონაწერი არ წარმოადგენდა არც გარანტიას და არც უზრუნველყოფას და აღნიშნა, რომ „საბჭოსთვის გაუგებარი დარჩა, თუ როგორ შეიძლება იურიდიულ პირს ჰქონდეს თავისუფლად განკარგვადი თანხა იმ პირობებში, როდესაც დაყადაღებულია მისი ყველა აქტივი“. მიგვაჩნია, რომ ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული მსჯელობა წარმოადგენს უკიდურესი არაობიერტურობის ნიმუშს, ვინაიდან უნივერსიტეტს არც კანონით და არც სხვა რომელიმე აქტით არ ევალებოდა საბანკო გარანტიის ან თავდებობის წარდგენა ავტორიზაციის საბჭოსათვის. მოცემულ შემთხვევაში, უნივერსიტეტმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა საბანკო ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ იმ სოლიდურ შემოსავალთან, რომელზეც საუბარია ექსპერტთა დასკვნაში და მრავალმილიონიან ქონებასთან ერთად, უნივერსიტეტს საბანკო ანგარიშზე გააჩნდა თანხა, რომელიც სრულიად საკმარისი იყო უნივერსიტეტის დავალიანების დასაფარად იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკისრებდა აღნიშნული თანხის გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დარღვეულ იქნა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანების მოთხოვნა, რომლის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ავტორიზაციის სტანდარტების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის კომპეტენციაა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა როგორც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის, ისე ავტორიზაციის საბჭოს წინაშე მკაფიოდ დაასაბუთა, რომ მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებდა სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით, იმყოფებოდა მის საკუთრებაში და უნივერსიტეტი თავისუფლად ფლობდა აღნიშნულ ქონებას, რაც 7.1. სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის საკმარის პირობას წარმოადგენს, ვინაიდან იმავე ბრძანების მიხედვით, აღნიშნული სტანდარტის დასკმაყოფილებლად „უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისი განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას“. 2. ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს #09 სხდომის ოქმის 30-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ საბჭოს სხდომაზე 15:50 საათზე გამოცხადდა შესვენება, ხოლო სხდომა განახლდა 16:50 საათზე, რის შემდეგაც, ოქმის თანახმად, „საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ ხანგრძლივი დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით“. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, საბჭოს წევრებმა, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა და ექსპერტთა დასწრების გარეშე, კვლავ გააგრძელეს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საკითხის განხილვა. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანების 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. მოცემულ შემთხვევაში, 20



აგვისტოს, 15:50 საათზე, სხდომის თავმჯდომარეს არ გამოუცხადებია სხდომა დახურულად, ვინაიდან მას არ გააჩნდა სხდომის დახურულად გამოცხადების კანონით გათვალისწინებული საფუძველი. თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 1 საათით, რომლის დროსაც, როგორც აღმოჩნდა, კვლავ გაგრძელდა საკითხის განხილვა უნივერსიტეტის წარმომადგენელთა და ექსპერტთა დასწრების გარეშე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები. როგორც ზემოთ ითქვა, იგივე მოთხოვნაა გათვალისწინებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით, რაც არ იქნა დაცული ავტორიზაციის საბჭოს მიერ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე. მოცემულ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საკითხის განხილვის დროს დარღვეული იქნა სხდომის საჯაროობის პრინციპი, რაც უპირობო საფუძველია უნივერსიტეტის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისათვის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 95-ე და 98-ე მუხლები ითვალისწინებს დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობასა და საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა ექსპერტთა ჯგუფის დადებითი დაკვინა უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე, ავტორიზაციის საბჭოს არ ჩაუყენებია შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელობა საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა საქსპერტო დასკვნის რევიზია 2.1, 7.1 და 7.4 სტანდარტების ნაწილში და უნივერსიტეტის წარმომადგენლებისათვის საბჭოს არ მოუთხოვია რაიმე სახის დამატებითი მტკიცებულება, თუ ამგვარი მტკიცებულების წარდგენა ნამდვილად იყო საჭირო. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ 20 აგვისტოს 15:50 საათიდან 16:50 საათამდე, როდესაც საბჭოს წარმომადგენლები ფაქტობრივად დახურულ რეჟიმში იხილავდნენ უნივერსიტეტის საკითხს, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ისე ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, წარედგინათ თავიანთი მოსაზრებები და გამოეხატათ პოზიცია, რითაც უხეშად იქნა დარღვეული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 95-ე და 98-ე მუხლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტების მოთხოვნები.

3. ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ ითხოვდა, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 3500 სტუდენტით. სხდომის ოქმის თანახმად, „საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული სტუდენტთა ადგილების (3500-მდე) გაზრდის სურვილი. დაწესებულების წარმომადგენლება აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ის გარემოება, რომ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა იწყებოდა დღის მეორე ნახევარში და სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა შაბათ დღესაც. დაწესებულების წარმომადგენლება განაცხადა, რომ დაწესებულებას რეალურად ესაჭიროებოდა ამ რაოდენობით გაზრდილი ადგილები. საბჭოს

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, გაეცნენ თუ არა სტუდენტთა კონტიგუნტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და თუ იყო ეს დოკუმენტი მათვის მისაღები. ავტორიზაციის ექსპერტმა მურთაზ კვირკვაიამ აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ აღნიშნულ დოკუმენტებს და მათი რეკომენდაციები დაფიქსირებული იყო 2.1 კომპონენტში” (იხ. ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი #09; გვ.30). როგორც ცნობილია, ექსპერტთა დასკვნით, 2.1 სტანდარტის კომპონენტში უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა შეფასებული იქნა მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისად. ავტორიზაციის საბჭოს ოქმის 32-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ საბჭოს თავმჯდომარემ რატომღაც კენჭისყრაზე დააყენა არა უნივერსიტეტის მოთხოვნა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3500 სტუდენტით განსაზღვრის თაობაზე, არამედ იმის შესახებ, რომ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 2500-ით, რაც არავის მოუთხოვია და არავის დაუყენებია დღის წესრიგში. ჩვენის მხრივ, გვსურს დავძინოთ რომ საბჭოს თავმჯდომარეს ეს საკითხი კენჭისყრაზე საერთოდ არ დაუყენებია, რასაც დაადასტურებს სხდომის აუდიო ჩანაწერი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნების თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ავტორიზაციის საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, ავტორიზაციის საბჭოს მიერ უგულებელყოფილი და დარღვეული იქნა ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტების მოთხოვნები. 4. 2018 წლის 27 აგვისტოს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე 715 433.01 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი საგადასახადო დავალება და შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ 2018 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით უნივერსიტეტს არ ერიცხება საგადასახადო ვალდებულება და სალდირებული ზედმეტობის სახით ერიცხება 891 577, 89 ლარი. აღნიშნული მტკიცებულებები წარმოადგენს იმ ახლადგამოვლენილ გარემოებას, რომელიც მთლიანად გამორიცხავს ფინანსურ რისკებს და ბიზნეს პროცესების უწყვეტობას, რისი ალბათობაც მანამდეც არ არსებობდა. მიგვაჩინა, რომ წინამდებარე საჩივრის განხილვის დროს სააპლაციო საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნული გარემოება, ვინაიდან თეორიულადაც კი გამორიცხულია რაიმე სახის 7.1 სტანდარტის, ისევე როგორც 2.1 და 7.4 სტანდარტების დარღვევის შესაძლებლობა. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“ სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდა 1 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2500-ით ნაცვლად 3500-ისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას არ ყოფილა ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე არსებითი გარემოებები და გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე; საკითხის განხილვის დროს, უნივერსიტეტის წარმომადგენლები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, საკუთარი მოსაზრება წარედგინათ ავტორიზაციის საბჭოსათვის და მონაწილეობა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მონაწილეობა მიეღოთ საბჭოს სხდომაში, ვინაიდან დაირღვა სხდომის საჯაროობის პრინციპი.

ყოველივე ამით, უხეშად დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 32-ე, 53-ე, 95-ე 96-ე, 98-ე მუხლების; „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტისა და 22-ე მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტებისა და 33<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნები, რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი ექვემდებარება ბათილად ცნობას. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ჩვენი წინამდებარე საჩივარი და ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“ სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდა 1 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 3500 სტუდენტისა განისაზღვრა 2500 სტუდენტით, ბათილად ცნობის მითითებებით, ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნოთ ავტორიზაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების ადვოკატს საჩივრის წარდგენისთვის და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების შინაარსს.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა ითხოვა პროცედურული საკითხების დაზუსტება, რათა საბჭოს ემოქმედა სამართლებრივად მისი უფლებამოსილების ფარგლებში. მან დააზუსტა, ჰქონდა თუ არა სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილება, ნაწილობრივ ხელახლა განსახილველად დაებრუნებინა ავტორიზაციის საბჭოსთვის მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, რამდენად იყო უფლებამოსილი საბჭო მიეღო ბათილად ცნობის გადაწყვეტილება.

დაწესებულების ადვოკატმა განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრით დაწესებულება ითხოვდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების არა ბათილად ცნობას, არამედ გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას. კერძოდ, დაწესებულება ითხოვდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განეხილა 2018 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“ სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდა 1 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 3 500 სტუდენტისა განისაზღვრა 2 500 სტუდენტით. ადვოკატის განმარტებით, სამართლებრივად სააპელაციო საბჭო არ იყო შეზღუდული მიეღო ნაწილობრივ ხელახლა განსახილველად მიღების გადაწყვეტილება. ეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული წარმოების, სასამართლო და მსოფლიო პრაქტიკის ნაწილს, რომ როდესაც გადაწყვეტილების ერთი ნაწილი იყო სწორი, ხოლო მეორე ნაწილი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, ის ნაწილი რომელიც შესაბამისობაში იყო უნდა დარჩენილიყო ძალაში. ამ შემთხვევაში დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭება 6 წლის ვადით, ხოლო ის ნაწილი, რომელიც არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, უკან უნდა დაბრუნებულიყო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსთან. ადვოკატის განცხადებით, ის ფაქტი, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში არ იყო აღნიშნული, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების სახედ, საკითხის ნაწილობრივ ხელახლა განსახილველად დაბრუნება, არ ნიშნავდა რომ საბჭოს არ ჰქონდა აღნიშნულის უფლებამოსილება. ამასთან, რა

მითითებით დაუბრუნებდა ხელახლა განსახილველად სააპელაციო საბჭო ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, ეს წარმოადგენდა სააპელაციო საბჭოს პრეროგატივას, იქნებოდა ეს ბათილად ცნობა, გაუქმების თუ შესწორების მოთხოვნა.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26<sup>7</sup>-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საბჭო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებდა კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და სხდომაზე დამსწრე სააპელაციო საბჭოს წევრთა უმრავლესობით იღებდა ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ ან ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. შესაბამისად, საბჭოს უფლებამოსილება შეზღუდული იყო ამ ორი გადაწყვეტილების ფარგლებში. მან ასევე განმარტა, რომ სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის გვერდით, მაგიდასთან მისი ყოფნა განპირობებული იყო, თავმჯდომარის თხოვნით, დახმარებოდა მას მიკროფონების მართვაში.

საბჭოს წევრმა, მარინე ჩიტაშვილმა მიმართა დაწესებულების ადვოკატს, საკითხების დაზუსტების მიზნით. კერძოდ, დაწესებულება დაობდა იმ გარემოებაზე, რომ ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ შესვენება, რომ გამოაცხადა, მაშინ არ უნდა გაგრძელებულიყო საკითხის განხილვა, თუ დაწესებულება დაობდა იმ ფაქტზე, რომ სხდომის დახურულად გამოცხადების შემთხვევაშიც დაწესებულების წარმომადგენლების დაუსწრებლად არ ჰქონდა საბჭოს საკითხის განხილვის უფლება. მარინე ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ფაქტის გამორკვევა პრინციპულ საკითხს წარმოადგენდა, რადგანაც არსებული პრაქტიკით, ყოველი სხდომის მიმდინარეობის დროს, საბჭო მიმართავდა დამსწრე საზოგადოებას, დაეტოვებინა საბჭოს ოთახი, რჩებოდა მხოლოდ სააპელაციო საბჭო და მსჯელობდა განსახილველ საკითხზე.

დაწესებულების ადვოკატის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმიც მოწმობდა, რომ გამოცხადებული შესვენების დროს საბჭოს წევრებმა განაგრძეს საკითხის განხილვა და მსჯელობა. არც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და არც საბჭოს სხდომაზე არ იყო გამახვილებული ყურადღება იმ საკითხებზე, რაზეც შემდგომ საბჭომ დააფუძნა მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელებს არ მიეცათ შესაძლებლობა წარმოედგინათ თავისი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, მარინე ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა 3 500 ადგილით განსაზღვრულიყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით რაოდენობა არ გაიზარდა და განისაზღვრა 2 500 ადგილით. მარინე ჩიტაშვილი დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრში.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულება წელს იღებდა 800 სტუდენტს. ამასთან, მოთხოვნილი 3 500 ადგილი გადანაწილდებოდა წლების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოჰქონდა ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ადმინისტრაციული საჩივრის

ო. თემურ ჭავჭავაძე

დაკმაყოფილების შესახებ; ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნულის შესაბამისად, ზაზა რუხაძე მიიჩნევდა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ ხელახლა განსახილველად დაბრუნება არ წარმოადგენდა პრობლემას.

საბჭოს წევრის, ლაშა გოცირიძის განცხადებით, ამ საკითხს შეეხებოდა მისი კითხვაც, რაზეც პასუხი მიიღო საბჭოს წევრის, ზაზა რუხაძის განმარტებიდან.

საბჭოს წევრმა, ნათია სამუშაომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, თოთოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო ღიად და საჯაროდ წარემართა თავისი სხდომები, გარდა ამავე კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კერძოდ, თუ სხდომაზე განსახილველი ინფორმაცია მოიცავდა პერსონალური, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შესახებ მონაცემებს. აღნიშნულის შესაბამისად, თუ სახეზე არ იყო ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, საბჭოს სხდომაზე ყველა განხილვა უნდა წარმართულიყო დაწესებულების წარმომადგენლების თანდასწრებით.

საბჭოს წევრის, მარინე ჩიტაშვილის განცხადებით, აღნიშნული წორმით გამოდიოდა, რომ 2014 წლიდან 2017 წლის აპრილამდე, სულ მცირე 6 ჯერ ჰქონდა დარღვეული შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს ეს რეგულაცია, რადგანაც გარკვეული საკითხები განიხილებოდა მხოლოდ დახურულ სხდომაზე. ამასთან, ამ ჩანაწერით დადგენილი მოთხოვნა ირღვეოდა მისი აკრედიტაციის საბჭოში საქმიანობის დროსაც, რადგანაც დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის მოსმენის შემდეგ, საბჭო იხურებოდა და საბჭოს წევრები მსჯელობდნენ განსახილველ საკითხზე. საბჭო აცხადებდა არა შესვენებას, არამდე მსჯელობისთვის ითხოვდა შესაბამის დროს. აქედან გამომდინარე, მარინე ჩიტაშვილის აზრით, ის ვერ ხედავდა პრობლემას მსჯელობისთვის სხდომის დახურულად გამოცხადებაში. ამასთან, მისთვის არავის განუმარტავს, რომ ეს წარმოადგენდა კანონმდებლობის დარღვევას. ამასთან, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ახალი შესწორება იყო შესული, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი ეხებოდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით აფრასიძეს.

დავით აფრასიძის განცხადებით, რამდენიმე წლის განმავლობაში აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენდა, საბჭოს სხდომაზე შესვენების გამოცხადება იმ საფუძვლით, რომ საბჭოს წევრებს ემსჯელათ განსახილველ საკითხზე. ამასთან, ამ ფორმით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მიმდინარე წელსაც ყველა იმ დაწესებულების მიმართ, ვისაც უკვე მიენიჭა ავტორიზაცია. მან აღნიშნა, რომ სამომავლოდ ასეთი კაზუსების თავიდან აცილების მიზნით, საბჭოს ესაჭიროებოდა დამატებითი იურიდიული კონსულტაცია. რაც შეეხებოდა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას პროცედურული დარღვევების საფუძველზე, მაშინ საერთოდ აზრი ეკარგებოდა აღნიშნულ სხდომაზე საკითხის არსებით განხილვას.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების ადვოკატს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს. კერძოდ, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოცხადებული შესვენების დროს, განხილულ იქნა თუ არა ისეთი ახალი გარემოებები, რომლებმაც გავლენა იქონია საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაზე, თუ მსჯელობა მიმდინარეობდა იმ საკითხებზე, რაც ღია და საჯარო სხდომის დროს გამოვლინდა დაწესებულების წარმომადგენლების თანდასწრებით.

დავით აფრასიძის განმარტებით, შესვენების დროს განიხილებოდა ის ინფორმაცია, რაც საბჭომ ღია სხდომის დროს მიიღო, დამატებითი გარემოებები არ განხილულა. საბჭოს წევრებს შორის ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გარკვეული საკითხების ინტერპრეტაცია.

დაწესებულების ადვოკატმა ციტატა მოიყვანა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმიდან: თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ ხანგრძლივი დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ადვოკატის განცხადებით, ოქმში არ იყო დაფიქსირებული, თუ რა საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ხანგრძლივი დისკუსია საბჭოს წევრებს შორის.

საბჭოს წევრმა, ნათია სამუშაომ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. კერძოდ, სხდომის დროს, სანამ გამოცხადდებოდა შესვენება, ან თუნდაც შესვენების შემდეგ, ცნობილი იყო თუ არა მათთვის და ჰქონდათ თუ არა შესაძლებლობა მოსაზრება დაეფიქსირებინათ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ 1 წელი შესაძლო იყო შეზღუდვოდათ სტუდენტთა მიღების უფლება და არ გაზრდილიყო სტუდენტთა კონტინგენტი მოთხოვნილი რაოდენობით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, სხდომის მიმდინარეობის დროს სამჯერ მოხდა დაწესებულების ჯარიმასთან დაკავშირებით აღნიშვნა, თუმცა საბჭოს არცერთ წევრს არ დაუსვამს კითხვა აღნიშნულის თაობაზე. ამასთან, როდესაც ერთ საათიანი შესვენების შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენლები დაბრუნდნენ სხდომაზე, საბჭოს თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საბჭო ედავებოდა დაწესებულებას ფინანსურ საკითხებზე და ამავდროულად ზღუდავდა ფინანსური კუთხით. აღნიშნულის საპასუხოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუცხადა, რომ საბჭოს არ სურდა აქ ამ საკითხზე დისკუსია. დაწესებულების ადვოკატმა დასმინა, რომ სხდომის ოქმში არსად იყო დაფიქსირებული ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული დისკუსია. შესაბამისად, დაწესებულებისთვის სრული მოულოდნელობა იყო მიღებული გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრი, ლაშა გოცირიძე დაინტერესდა, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე შესვენების გამოცხადებამდე, გაუდერდა თუ არა სტუდენტთა კონტინგენტის 3 500-ის ნაცვლად, 2 500-ით განსაზღვრის საკითხი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ განმარტა, რომ 2 500 ადგილი დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა წინა ავტორიზაციის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ცხადი იყო, რომ თუ საბჭომ 1 წლით შეუზღუდა დაწესებულებას სტუდენტთა მიღების უფლება და გარკვეულ რისკებს ხედავდა, არალოგიკური იქნებოდა დათანხმებოდა დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის

მოთხოვნაზე. შესაბამისად, საბჭოს თავად არ განუსაზღვრავს 2 500 ადგილი, არამედ დაწესებულებას უარი ეთქვა სტუდენტების კონტინგენტის გაზრდაზე.

დაწესებულების ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საერთოდ არ მომხდარა დაწესებულების პოზიციის განხილვა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ღია სხდომაზე საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის არ გამართულა დისკუსია კონტინგენტის 3 500-ით არ განსაზღვრასთან დაკავშირებით.

დავით აფრასიძემ განაცხადა, რომ კენჭისყრაზე დაყენებულ იქნა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 500-ით განსაზღვრისა და სტუდენტთა მიღების უფლების 1 წლის ვადით შეზღუდვის საკითხი.

დაწესებულების ადვოკატმა დასმინა, რომ სტუდენტთა კონტინგენტის 3 500-ით განსაზღვრის საკითხი, რასაც დაწესებულება ითხოვდა, არ იქნა დაყენებული კენჭისყრაზე.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს ოქმში დაფიქსირებული იყო, რომ საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა კითხვით, იცნობდნენ თუ არა დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. შესაბამისად, ის დაინტერესდა წარიმართა თუ არა საბჭოს სხდომაზე მეტი მსჯელობა, რომელმაც მიიყვანა საბჭო კენჭისყრის შედეგთან.

დაწესებულების ადვოკატმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დაფიქსირებული იყო ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის 30-ე გვერდზე და ამ ფაქტის გარდა ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი მსჯელობა არ წარმართულა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ განმარტა, რომ სტუდენტთა კონტინგენტთან დაკავშირებით მსჯელობა წარიმართა ორ ასპექტში, კერძოდ, როდესაც ხდებოდა განხილვა სტუდენტთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის სხვადასხვა საქმიანობაში და ექსპერტებმა განმარტეს, რომ დაწესებულებაში ბევრი სიახლე იყო და ბევრი გამოკითხვა აჩვენებდა, რომ სტუდენტები არ იყვნენ ინფორმირებულები ამის თაობაზე. მეორე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა, აკადემიური პერსონალის დატვირთვის საკითხი. ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ მნიშვნელოვან ციფრებს წარმოადგენდა პერსონალის აკუმულირებული დატვირთვები, რომლებიც სხვა ინსტიტუციებშიც იყვნენ დასაქმებულები. შესაბამისად, უფრო ფართო სპექტრში მოხდა სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის საკითხის განხილვა.

ლაშა მარგიშვილმა დამატებით განმარტება გააკეთა, საბჭოს წევრის, ნათია სამუშავას განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლს. მისი განმარტებით, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიციაში არც ავტორიზაციის, არც აკრედიტაციის და არც აპელაციის საბჭოს სხდომები არ ჯდებოდა. ამავე კოდექსის 27-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში განმარტებული იყო, რომ კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა, ისეთი საჯარო დაწესებულება რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისგან შედგებოდა. შესაბამისად, კოლეგიურ საჯარო

დაწესებულებად არ მიიჩნეოდა არც ავტორიზაციის, არც აკრედიტაციის და არც სააპელაციო საბჭოები. აქედან გამომდინარე, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ იქნა აღნიშნულ სხდომებზე ვერ ჩაითვლებოდა სამართლებრივი ნორმების დარღვევით მიღებულად, მხოლოდ იმ მიზეზით რომ საბჭო სხდომებზე აცხადებდა შესვენებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ ითხოვა აღნიშნული განმარტება გაკეთებულიყო ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვისაც. საბჭო პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციებს იღებდა ცენტრის წარმომადგენლებისგან. ამასთან, საბჭოს არ ჰქონდა პრობლემა საკითხი განეხილა ღია სხდომაზე. რაც შეეხებოდა, გასაჩივრებულ ავტორიზაციის გადაწყვეტილებას, მან განმარტა, რომ მცდარი აქცენტი კეთდებოდა იმ გარემოებაზე, რომ საბჭომ დავალიანების საკითხს დააფუძნა გადაწყვეტილება, რომ თითქოსდა საბჭომ ეჭვი შეიტანა დაწესებულების რესურსებში, რომ შეეძლო ამ დავალიანების დაფარვა. საბჭოსთვის მთავარ საკითხს წარმოადგენდა, აუდიტორულ დასკვნაში იყო თუ არა მოცემული, რომ ეს საგადასახადო დავალიანება არსებობდა. ეს კითხვა დაისვა საბჭოს სხდომაზე. დაწესებულებამ საბჭოს განუცხადა, რომ ეს საკითხები არ ჰქონდა მიწოდებული აუდიტორისთვის, რადგანაც არ მიიჩნევდა მნიშვნელოვნად. მეორე მნიშვნელოვნა საკითხს წარმოადგენდა ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული ეს თუნდაც დაწესებულების შეფასებით მცირე რისკი. მან ასევე აღნიშნა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის წერილი, რომელიც წარდგენილ იქნა ავტორიზაციის საბჭოსადმი. წერილში აღნიშნული იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას არ ჰქონდა რისკები, არც იმ შემთხვევაში, თუ ის გასხვისდებოდა და არც იმ შემთხვევაში თუ ამ მოცემულობით გააგრძელებდა ოპერირებას. თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის დაწესებულებას არ მოუწოდებია აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისად, საბჭომ ამ საკითხებზე გააკეთა აქცენტები. ასევე, საბჭოს სხდომაზე დაისვა კითხვა იმ საკითხთან მიმართებით, რომ როდესაც დაყადაღებული ჰქონდა დაწესებულებას ქონება, როგორ ჰქონდა საბანკო ანგარიშზე განთავსებული ჯარიმის გადასახდელი თანხა თავისუფალი განკარგვის რეჟიმში. ამ კითხვაზე საბჭომ ვერ მიიღო პასუხი. ამასთან, როდესაც საბჭოს სხდომაზე დაისვა კითხვა, დაწესებულების ქონების მესაკუთრესთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ საკუთრებას ფლობდა უნივერსიტეტი და უნივერსიტეტის აქტივებს ფლობდა კიდევ სხვა კომპანია, რომელიც იყო 60%-ის მფლობელი. მთავარი ამოსავალი წერტილი იყო, რომ სესხის გასხვისების და ქონების საკუთრების საკითხი არ იყო ნათლად და ღიად მოცემული დოკუმენტებში. დავით აფრასიძემ ასევე აღნიშნა, რომ როდესაც იყო მსჯელობა მე-2 და მე-7 სტანდარტის პირობების დაკმაყოფილების შეფასებასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრების უმრავლესობამ მე-7 სტანდარტთან მიმართებით უფრო დაინახა პრობლემური საკითხები. თუმცა, ასევე მსჯელობის საგანი იყო, დაწესებულების მენეჯმენტის დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, აუდიტის ყოველწლიური დასკვნა დაწესებულებას განთავსებული ჰქონდა ვებგვერდზე და ასევე, მიწოდებული იყო ექსპერტებისთვისაც. რაც შეეხებოდა, ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმას, ჯარიმის საკითხი რა თქმა უნდა ასახული იყო, იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ჯარიმის თანხა შეადგენდა დაახლოებით მილიონ ხუთასი ათას ლარს. მან ასევე აღნიშნა, რომ ბიზნესპროცესების უწყვეტობის ნიმუში არ არსებობდა და

დაწესებულებამ თავის შემუშავებულ გეგმაში გაითვალისწინა ყველა ის ასპექტი და გამოწვევა, რაც ესახებოდა. პუნქტობრივად იქ არ იყო გაწერილი, როდის შემოვიდა დაწესებულებაში შემოსავლების სამსახური, როდის მოხდა ყადაღის დადება და ა.შ. თუმცა რისკებში ეს საკითხი ასახული იყო. ამასთან, ყადაღის დადება არ გულისხმობდა თანხების განკარგვის შეზღუდვას. ყადაღა ედო მხოლოდ დაწესებულების შენობებს და არა თანხას. დაწესებულება ფინანსურ რესურსებს თავისუფლად გაკარგავდა, შესაბამისად რისკი არ ყოფილა, რომ სტუდენტები დაზარალდებოდნენ. დაწესებულების ადვოკატმა ასევე დასძინა, რომ ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმაში გათვალისწინებული იყო სამართლებრივი დავების, ჯარიმისა და პირგასამტებლოს საკითხებიც. ამასთან, ეს საკითხი ექსპერტთა ჯგუფისთვის იყო კარგად ცნობილი, როდესაც ისინი აკეთებდნენ თავიანთ შეფასებას. ექსპერტთა დასკვნაში, ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმასთან მიმართებით, დაფიქსირებული იყო, რომ ის იყო ზოგადი ხასიათის, თუმცა ამ სტანდარტში დაწესებულებას ჰქონდა დადებითი შეფასება, რაც გულისხმობდა იმას, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა პრობლემა. ის ფაქტიც ცნობილი იყო ყველასთვის, რომ ჯარიმის თანხა უნივერსიტეტს განთავსებული ჰქონდა საბანკო ანგარიშზე, ეს ყველაფერი ლეგალურად ხდებოდა. რაც შეეხებოდა აუდიტის დასკვნას, იქაც დაფიქსირებული იყო, თუ რა ოდენობას შეადენდა დაწესებულებისთვის დარიცხული ჯარიმა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, ის თანხა, რომელიც განთავსებული იყო საბანკო ანგარიშზე, რატომ არ გადაიხადა დაწესებულებამ, რომ მოხსნილიყო ქონებაზე ყადაღა, სასამართლო დავა გაგრძელდებოდა და დაწესებულებისთვის დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ეს თანხა დაუბრუნდებოდა მას უკან, ავტორიზაციის საბჭოსთვის კი საეჭვო აღარ გახდებოდა ეს თემა. მან ასევე კითხვით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით აფრასიძეს, იმ პირობებში თუ საბჭომ დაინახა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ფინანსებთან და ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები, სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა, ბიზნესის განვითარებისთვის ხელშეწყობა იქნებოდა თუ ხელისშეშლა. მან აქვე დასძინა, რომ ის როგორც საბჭოს წევრი არ დაუჭირდა მხარს, აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

დაწესებულების ადვოკატმა განმარტა, რომ თავისი მრავალწლიანი გამოცდილების მანძილზე არ შეხვედრია პრეცედენტი, რომ მხარეს წინასწარ გადაეხადა ეს ჯარიმა და შემდეგ დაებრუნებინა საგადასახდო ინსპექციისგან. ამასთან, არაერთი კონსულტაცია იქნა გავლილი აუდიტის სფეროს წარმომადგენლებთან და მათი შეფასებით, ამ ჯარიმის დარიცხვა იყო არასწორი. დაწესებულებას ეს თანხა ერთხელ უკვე ჰქონდა გადახდილი და ითხოვდნენ მეორედ გადახდას. აქ საკითხი უნდა დამდგარიყო იმ ფორმით, რომ თუ საბოლოოდ სასამართლო დაწესებულებას დაკავისრებდა ჯარიმის გადახდას, ჰქონდა თუ არა მას აღნიშნულისთვის რესურსები. საგადასახადო დავასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლება დამატებით განმარტება გააკეთა საბჭოს

წევრებისთვის. მისი განმარტებით, როდესაც იურიდიულ საკითხს არა იურისტები იხილავდნენ, ხშირად არასწორ ინტერპრეტაციებს ჰქონდა ადგილი, როგორც ეს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე იყო. წარმომადგენლის განცხადებით, 2014 წელს დაკავისრა შვს შვი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს საგადასახდო დავალიანება. მას შემდეგ ამ საგადასახდო დავალიანების დაკავისრება

და თანხის ოდენობა სადაო საკითხს წარმოადგენდა. დაწესებულების ქონებას ყადაღა ედო ცრუმაგიერ პირებად ცნობის დავის ფარგლებში და არა ამ საგადასახადო დავის ფარგლებში. ყადაღა წარმოადგენდა უზრუნველყოფის საშუალებას, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ ეს თანხა აღარ იყო სადაო და დაწესებულებას უნდა გადაეხადა, სახელმწიფოს ჰქონდეს შესაძლებლობა ამოელო ეს თანხა. რაც შეეხებოდა საბანკო ანგარიშებს, დაწესებულების არ ჰქონდა ისინი დაყადაღებული და ჰქონდა თავისუფლად ოპერირების საშუალება. დაყადაღებული იყო მხოლოდ დაწესებულების ქონება და წილები, რომლებიც ეკუთვნოდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს და მის დამფუძნებლებს. ამასთან, ქონების ღირებულება, რომელსაც ყადაღა ჰქონდა დადებული, შეადგენდა 12 მილიონზე მეტს. შესაბამისად, თუ დაწესებულებას დაევისრებოდა ჯარიმის გადახდა, მას არანაირი პრობლემა ექნებოდა ამ თანხის გადახდის. ავტორიზაციის საბჭოს რომ არ გასჩენოდა კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით, სწორედ ამ მიზეზით განათავსა დაწესებულებამ საბანკო ანგარიშზე ჯარიმის თანხის ოდენობის თანხა. ავტორიზაციის საბჭოს უნდა შეემოწმებინა დაწესებულების ფინანსური სტაბილურობა და მზაობა სტუდენტების მისაღებად. საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულებით, მათ შორის აუდიტის დასკვნით და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნითაც, ეჭვევეშ არ დგებოდა დაწესებულების ფინანსური სტაბილურობა. ასევე, მისი განცხადებით, სადაო თემას წარმოადგენდა, დაწესებულების გასხვისება. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტი წარმოადგენდა კერძო ბიზნეს სუბიექტს და მისი დამფუძნებლების ცვლილება არ იყო კავშირში მის თავისებისათან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემაც აღნიშნა, რომ ინტერვიურებისას განხილული იყო დაწესებულების როგორც გასხვისების, ისე არ გასხვისების საკითხები და ორივე შემთხვევაში დაწესებულების ბიზნესუწყვეტობას არ ექმნებოდა საფრთხე. წარმომადგენელმა განმარტა ასევე, რომ ის დაწესებულების გარდა იყო, ასევე დემირელის კოლეჯისა და შაპინის სკოლის წარმომადგენელი, რომელთა საკითხები დღემდე განიხილებოდა სასამართლოში. ის რომ ავტორიზაციის საბჭო კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოთდასახელებული ნორმის გარდა დასტურდებოდა ასევე სასამართლო პრაქტიკითაც.

საბჭოს წევრმა, ნათია სამუშამ მიმართა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით აფრასიძეს და განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს ოქმში დაფიქსირებული იყო, რომ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ანგარიშში კონკრეტულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა ეფუძნებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილს პოტენციური მყიდველისგან, რომელიც გამოთქვამდა სურვილს და მზაობას შეესყიდა უნივერსიტეტი და დაეფარა მისი დავალიანება. განაცხადის მიხედვით მოლაპარაკება უნდა დასრულებულიყო 2-3 კვირაში, 1 თვის მანძილზე და ა.შ. და ბოლოს ასე სრულდებოდა, რომ უშუალოდ ექსპერტთა ანგარიშიდანაც ირკვეოდა, რომ ფინანსურ რისკებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იყო შესაბამის დოკუმენტებში მითითებული და მითითებულ პერიოდში მოლაპარაკება ვერ დასრულდა. შესაბამისად, მირითადი არგუმენტი გახდა არა ვალიდური. ნათია სამუშაას განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ჰქონდა რამდენიმე კითხვა. მან აღნიშნა, რომ რამდენჯერმე მოხსენიებულ იქნა ენდი გიბსის წერილი სადაც დაფიქსირებული იყო, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა საკმარისი ფინანსური სახსრები საგადასახადო ჯარიმის გადასახდელად, აქვე, აღნიშნული იყო ის ფაქტიც, რომ ექპერტთა ჯგუფისთვის უცნობი იყო ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის გადახდისუნარიანობა დამოკიდებული იყო

დაწესებულების გასხვისებაზე. წერილის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი გაყიდვის აუცილებლობას არც განიხილავდა. მეორე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, დაწესებულების ავტორიზაციის ინგლისურენოვან დასკვნაში დაფიქსირებული გარემოება, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი იყო საგადასახდო დავალიანების შესახებ ინფორმაცია და მიუხედავად ამისა, აღნიშნული იყო 2.1 კომპონენტში, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა საკმარისი ფინანსური რესურსები. ასევე აღნიშნული იყო, რომ აუდიტორულ ანგარიშშიც ასახული იყო საგადასახადო დავალიანების შესახებ. დასკვნაში ასევე დაფიქსირებული იყო, რომ ექსპერტებმა საგადასახდო დავალიანების შესახებ ინფორმაცია მიიღეს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების ფარგლებშიც. მესამე საშუალება საიდანაც ექსპერტებმა შეიტყვეს საგადასახადო დავალიანების შესახებ იყო ბიზნესუწყვეტობის გეგმა. დასკვნის თანახმად, ბიზნესუწყვეტობის გეგმა მოიცავდა ამ საკითხს და რომც არ ყოფილიყო დასკვნაში აღნიშნული, ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ დაინტერესებული პირი, ნახავდა რომ რეალურად ასახული იყო. ერთადერთი რაზეც დასკვნაში საუბარი იყო, წარმოადგენდა იმ ფაქტს, რომ ექსპერტებმა იმსჯელეს საგადასახადო დავალიანების დაფარვის ალტერნატივებზე და ამ დაფარვის ალტერნატივების ასახვაზე ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმაში, მათ შორის ერთ-ერთ შესაძლებლობად დასახელებული იყო უნივერსიტეტის ან მისი წილის გასხვისება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს სულ მცირე სამი სხვადასხვა წყაროდან ჰქონდა მიწოდებული აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ ის ეთანხმებოდა საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ ფაქტებს და კიდევ ერთხელ აზუსტებდა, რომ ავტორიზაციის საბჭოს არ ჰქონდა ეჭვევეშ დაყენებული ის გარემოება, რომ დაწესებულებას შეეძლო საგადასახდო ჯარიმის დაფარვა. ამასთან, საბჭოს აღარ დაუწყია განხილვა იმის თაობაზე, დაწესებულების გასხვისების ოფცია ცვლიდა თუ არა რაიმეს, რადგანაც გასული იყო შესაბამისი ვადები და ა.შ.. საბჭოს მთავარი აქცენტი მიმართული ჰქონდა იმ გარემოებაზე, თუ რატომ არ იყო გარკვეული ინფორმაცია შესაბამისად ასახული დოკუმენტებში. საბჭოს სხდომაზე გაუდერდა 2 სახის ინფორმაცია, პირველი იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ენდი გიბსის წერილი, სადაც ის ამზობდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ფინანსური პრობლემები, თუმცა ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმაში არ იყო ასახული ზემოთნახსენები ინფორმაცია. მეორე ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა ექსპერტის შეფასება, რომ საკონსულტაციო კომპანიის დასკვნაში არ იყო საგადასახადო დავალიანება ასახული, თუმცა ის იქვე აღნიშნავდა, რომ დოკუმენტების თანახმად 2017 წელს დაწესებულებას გაუნაწილებელი ქონება ჰქონდა მილიონ ასი ათასი.

დაწესებულების ადვოკატმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით აფრასიძეს. მისი თქმით, თუ საბჭოს ეჭვევეშ არ ჰქონდა დაყენებული დაწესებულების მიერ საგადასახადო დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა, მაშინ რას ეფუძნებოდა 7.1 სტანდარტის კომპონენტის შეფასება, რომლის მიხედვითაც დაწესებულების მატერიალური რესურსები არ იყო შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულების რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნაში ასახული იყო საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია. ამასთან მისი განმარტებით, საბჭოს წევრების წინაშე წარდგენილი იყო საავტორიზაციო დოკუმენტაცია და მათ

ჰქონდათ შესაძლებლობა, ექსპერტებისგან დამოუკიდებლად გაცნობოდნენ და გადაემოწმებინათ ეს საკითხი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე დაისვა კითხვა და პასუხი აღნიშნულის თაობაზე მიღებულ იქნა როგორც ექსპერტისგან ისე დაწესებულების წარმომადგენლისგან. რაც შეეხებოდა დაწესებულების ადვოკატის შეკითხვას, დავით აფრასიძემ განმარტა, რომ საბჭოს მთავარი მშენებელი პქონდა ორ გარემოებაზე, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით დაწესებულების მენეჯმენტის შესაბამისობაზე და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. საბჭოს წევრების უმრავლესობა საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 7.1 სტანდარტის კომპონენტზე გაკეთებულიყო აქცენტი.

საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ დადებითად შეაფასა, რომ დღევანდელ საბჭოს სხდომაზე გამოირკვა ის გარემოება, რომ დაწესებულებას არ პქონდა ვალდებულება წინასწარ გადაეხადა საგადასახდო ჯარიმის თანხა. მან დამატებით განმარტა, რომ საგადასახდო კანონმდებლობის თანახმად, არსებობდა ორი ტერმინი აღიარებული და სადაო საგადასახდო თანხა. ამ შემთხვევაში თანხა, რომელიც იყო სადაო, მისი გადახდის ვალდებულება დაწესებულებას არ გააჩნდა არც მოცემული დროისთვის და არც ამ ეტაპისთვის. ამასთან, სადაო თანხა უზრუნველყოფილი იყო დაწესებულების ქონებით, რაზედაც უნივერსიტეტის ქონებას ედო ყადაღა. ამავე დროს, ყადაღა აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ დაწესებულებას პქონდა ამ ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლება, ყადაღა ზღუდავდა მხოლოდ განკარგვის უფლებას. ლაშა გოცირიძის მოსაზრებით, დაწესებულება პრაგმატულად და სწორედ იქცეოდა, როდესაც არ იხდიდა სადაო თანხას. ამასთან, მას შემდეგ რაც უნივერსიტეტმა ეს თანხა გადაიხადა, ეს თანხა დაუჯდა მას ზედმეტობაში, რაც იყო ბუნებრივი. შესაბამისად, ამ თანხის გადახდის ვალდებულება დაწესებულებას არ პქონდა. რაც შეეხებოდა, აუდიტის დასკვნას, მნიშვნელოვანი იყო ორი გარემოების გამორკვევა. თუ დასკვნა არ მოიცავდა გარკვეულ ინფორმაციას, უნდა ჩათვლილიყო თუ არა ეს დასკვნა ვალიდურად და მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, თუ აუდიტის დასკვნა ფასდებოდა არა ვალიდურად, უნდა ჩათვლილიყო თუ არა სტანდარტის კომპონენტი დაკმაყოფილებულად. პირველ გარემოებასთან მიმართებით, ლაშა გოცირიძემ განმარტა, რომ ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებით იყო განსაზღვრული, თუ რა ინფორმაცია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი - ბალანსი, ბალანსგარე, მოგება და ა.შ. ეს იყო პირობითი ტიპიური ვალდებულება. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი, რომელიც ბალანსში კი არ აისახებოდა, არამედ შენიშვნის სახით თან ერთვოდა ფინანსურ ანგარიშებს. ის ინფორმაცია, რაც დანართის სახით იყო მოცემული, არ წარმოადგენდა სრულ ფინანსურ ანგარიშებას, ეს იყო შემოკლებული ვარიანტი, ერთგვარი კრებსითი ინფორმაცია, სადაც დაფიქსირებული იყო ბალანსები. აქ არ იყო წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისები და სხვ. ამასთან, ლაშა გოცირიძის განმარტებით, ჯობდა აქ ასახულიყო ის ინფორმაციაც, რომელიც ზემოთ აღინიშნა, თუმცა ეს არ იყო სავალდებულო. მან ასევე განიხილა სტანდარტული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშება, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას, ბალანსის, მოგება-ზარალის და ყველა შენიშვნის შესახებ, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი ისეთი რისკი, როგორიც იყო პირობითი ვალდებულება. ამ შემთხვევაში უნდა მიჩნეულიყო თუ არა ეს ფინანსური ანგარიშება თავის აუდიტორულ დასკვნასთან ერთად არა ვალიდურად. მისი

მოსაზრებით, არავალიდურად მიჩნევის საფუძველი არ არსებობდა. პროცედურის თანახმად, ორგანიზაცია გამოიხმობდა ძველ ანგარიშგებას, შენიშვნის გათვალისწინებით გამოსცემდა ახალ ანგარიშს და აუდიტორიც ამ ერთი შენიშვნის დამატებით გამოსცემდა ახალ დასკვნას. თუმცა ეს არავალიდურობის საფუძველი ვერ იქნებოდა, მით უფრო რომ უნდა გაანალიზებულიყო რისკის არსებითობის საკითხი. არსებითობა განისაზღვრებოდა თავისი მოცულობით. დაწესებულების წლიური გაუნაწილებელი მოგება 2017 წელს შეადგინდა მილიონ ასი ათას ლარს, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში აკუმულირებული გაუნაწილებელი მოგების ჩათვლით, მთელი დაწესებულების კაპიტალი (საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო ფონდები), შეადგინდა დაახლოებით 14 მილიონ ლარზე მეტს. ამ ოდენობის კაპიტალის პირობებში ზემოთაღნიშნული პირობითი ვალდებულება დაახლოებით 5%-ს შეადგინდა. ლაშა გოცირიძის მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო ავტორიზაციის საბჭოს წევრებს გაევლოთ კონსულტაციები დარგის შესაბამის სპეციალისტებთან და აუდიტის დასკვნის არავალიდურობის საკითხი არ დადგებოდა. ამასთან, რომც მიჩნეულიყო ეს დასკვნა არავალიდურად, დანარჩენი მისი კომპონენტები აძლევდა თუ არა საბჭოს წევრებს დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი მატერიალური და ფინანსური რესურსები იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარმართულიყო. დაშვება რომც გაკეთებულიყო იმის თაობაზე, რომ პირობითი ვალდებულების მიუთითებლობამ გამოიწვია აუდიტის დასკვნის არავალიდურობა, ამ საფუძვლით არ შეიძლებოდა იმის შეფასება, რომ დაწესებულება არ აკმაყოფილებდა 7.1 სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ზემოთმოყვანილი გარემოებების გათვალიწინებით, აჯობებდა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს გადაწყვეტილების მიღებამდე ან დამატებითი განმარტება მოეთხოვათ, ან მოეწვიათ აუდიტორი. მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შინაარსობრივი გამორკვევა და თუ საბჭოს წევრებს არ გააჩნდათ აღნიშნულის შესაბამისი კომპეტენცია, უნდა მიემართათ შესაბამისი სპეციალისტებისთვის და საკითხი სიღრმისეულად შეესწავლათ. 2.1. სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით მან დასძინა, რომ ყველა შესაძლო რისკი უნდა ყოფილიყო ასახული ბიზნესუწყვეტობის გეგმაში. დაწესებულების მიერ შემუშავებულ გეგმაში ზოგადად, მაგრამ მითითებული იყო, რომ ერთ-ერთ რისკს წარმოადგენდა საგადასახადო ჯარიმები. შესაბამისად, ფორმალურად ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო და კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დამდგარიყო დაწესებულების მიერ სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი. თუმცა, რომც არ ყოფილიყო ეს რისკები გათვალისწინებული აღნიშნულ გეგმაში, მაინც არ უნდა ჩათვლილიყო, რომ სახეზე იყო შეუსაბამობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნასთან.

საბჭოს წევრის, ნათია სამუშაოს განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რატომ ხდებოდა განხილვა მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის გარშემო. ნათია სამუშაომ განმარტა, რომ თავად საბჭოს სხდომის ოქმშიც ასახული იყო, რომ საბჭომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილა ორ სტანდარტთან შესაბამისობის საკითხი. 2.1 სტანდარტის კომპონენტის შეფასებისას, საბჭომ იმსჯელა შესაძლო რისკების გათვალისწინებით ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის არსებობაზე, რომელშიც არ იყო დეკლარირებული დავალიანებისა და ყადაღის საკითხები და მათი მოგვარების გზები. აღნიშნულის შედეგად შეიცვალა 7.1 სტანდარტის კომპონენტის შეფასება. ფაქტობრივად, საბჭოს გადაწყვეტილება ამ გარემოებებზე იყო დაფუძნებული. ამასთან, ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმასთან

დაკავშირებით, ნათია სამუშიამ აღნიშნა, რომ რაიმე გაიდლაინი არ არსებობდა რითაც დაწესებულებას უნდა ეხელმძღვანელა ამ გეგმის შემუშავებისას, მთავარი იყო, რომ დაწესებულებას მასში აესახა ძირითადი რისკები. მოცემულ შემთხვევაში ასეთი რისკები ასახული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ გეგმაში, კერძოდ, საგადასახადო დავალიანების საკითხი. ასევე, აუდიტორულ დასკვნაშიც იყო მოცემული ეს ინფორმაცია და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს ფარგლებშიც, შეიტყვეს ექსპერტებმა ამ პირობითი ვალდებულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რით იყო განპირობებული დაწესებულების გადაწყვეტილება 27 აგვისტოს მოეხდინა ჯარიმის თანხის ჩარიცხვა. მან ასევე მიმართა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით აფრასიძეს და დაინტერესდა დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის მაჩვენებლით, რომელიც ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზეც იყო განხილვის საგანი.

დაწესებულების რექტორის, ილიას ჩილოღლუს განცხადებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან და სტუდენტების თხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება გადაეხადა წინასწარ ჯარიმის თანხა. დაწესებულების ადვოკატმა დამატებით დასმინა, რომ საბჭოს სხდომაზეც განიმარტა, რომ ამ თანხის გადახდის ვალდებულება დაწესებულებას არ ჰქონდა და გადახდის შემდეგ ეს თანხა იყო ზედმეტობაში. ამასთან, დაწესებულებამ აღნიშნულით კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა, რომ მისთვის არანაირ პრობლემას წარმოადგენდა ამ თანხის გადახდა. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დიანა მჭედლიშვილმა აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დასკვნაში მოხსენიებული იყო დაწესებულების 4 ლექტორი, სადაც ორ მათგანთან მიმართებით ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, დატვირთვების ამსახველ ექსელის დოკუმენტში აღნიშნული იყო 109 და 89 საათი, აღნიშნული ლექტორების დატვირთვასთან მიმართებით. დაწესებულებამ გადაამოწმა ეს ფაქტები და აღიარა, რომ სახეზე იყო ტექნიკური უზუსტობა. კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა ერთ ლექტორზე, რომელსაც მითითებული ჰქონდა 30 საათი დატვირთვა და იყო 35 საათი. მეოთხე შემთხვევა ეხებოდა დაწესებულების ბიზნესის მიმართულებით რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მას ჰყავდა რამდენიმე დამხმარე და იგი სტრატეგიული თვალსაზრისით წარმოადგენდა მიმართულების ხელმძღვანელს. მან ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე წარიმართა დისკუსია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა წარმოადგენდა საერთო საუნივერსიტეტო პრობლემას და არ იყო მხოლოდ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრობლემა. იმასთან დაკავშირებით თუ რა ზომებს იღებდა დაწესებულება, საბჭოს სხდომაზე განიმარტა, რომ ყოველსემესტრულად უნივერსიტეტი ითხოვდა თოთოეული მათგანისგან დატვირთვის მაჩვენებელს. ყოველწლიურად დაწესებულება ყველაზე ადრე იწყებდა სასწავლო წელს, შესაბამისად, უნივერსიტეტის ლექტორები, ვინც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც იყვნენ დასაქმებულებები, არ ფლობდნენ დაზუსტებულ ინფორმაციას სხვაგან მათი დატვირთვების შესახებ. ამ საფუძვლით სემესტრის დასაწყისში დაწესებულება ვერ ითვალისწინებდა მისი პერსონალის დატვირთვის მაჩვენებელს სხვა უსდ-ებში. ყოველი მომდევნო

სემესტრის წინ დაწესებულება აანალიზებდა მონაცემებს და იღებდა შესაბამის ზომებს. ამასთან, ბოლო პერიოდში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც 12 საათს არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულების შიგნით პერსონალის სალექციო დატვირთვა. დაწესებულების ადვოკატმა აქვე დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული სტანდარტი დადებითად იქნა შეფასებული.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის მაჩვენებელი გარკვეულ შემხებლობაში იყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხთან. მან დაადასტურა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე იყო საუბარი საერთო საუნივერსიტეტო პრობლემზე, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ საბჭოს თვალი უნდა დაეხუჭა კონკრეტული დაწესებულების პერსონალის დატვირთვის მაჩვენებელზე. ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იყო ძალიან მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო თუ არა, ის ვერ დაადასტურებდა. ასევე, მან აღნიშნა, რომ დადებითი ფაქტი იყო უნივერსიტეტის მიერ რეგულაციაში ცვლილების განხორციელება და 18 საათიანი დატვირთვიდან 12 საათზე ჩამოსვლა, განსაკუთრებით იმ პირობებში როდესაც დაწესებულება ზრუნავდა კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე.

საბჭოს წევრის, მარინე ჩიტაშვილის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ მოწოდებული არგუმენტი 7.1 სტანდარტის კომპონენტის შეფასების ცვლილებასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მიხედვით არ იყო დასაბუთებული, არ ეფუძნებოდა ექსპერტების მიერ გაკეთებულ შეფასებას და არ იყო განმტკიცებული არც იმ წერილით, რომელიც გადმოაგზავნა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარებრივ შეფასების დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ არსებული რესურსები უფრო მეტი ჰქონდა დაწესებულებას და არ ჰქონდა გამოყენებული, რაც შესაძლოა გულისხმობდეს მენეჯმენტის პრობლემას და არა რესურსების. ამასთან, ქონების აღწერის ჩამონათვალში მითითებული იყო იმ რაოდენობის ქონება, რომ საგადასახადო ჯარიმა შეადგენდა ამ ქონების 3,7%-ს. მარინე ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ კენჭისყრაზე ის მხარს დაუჭირდა აღნიშნული საკითხის ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას. რაც შეეხებოდა, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იურიდიულ განმარტებებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, მაგალითად, კოლეგიური საჯარო დაწესებულების განმარტებასთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე დაფიქსირდა სამი სხვდასხვა განმარტება. მისი მოსაზრებით არა იურისტი საბჭოს წევრებისთვის ეს წარმოადგენდა განუსაზღვრელობის სფეროს. აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან მიმართებით, მარინე ჩიტაშვილმა განმარტა, რომ 40 საათიანი სამუშაო დატვირთვის პირობებში, 18 და 12 საათიც წარმოადგენდა ძალიან დიდ დატვირთვას. ამასთან, სანამ საქართველოში არ იარსებდა რეალური პროფესიონალი, რომელიც დაიცავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის უფლებებს, ნებისმიერი უნივერსიტეტი გაწევდა მისთან დასაქმებულის ექსპლუატაციას. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით მან აქვე აღნიშნა, რომ სტუდენტებს ისეთ შედავათებს, როგორსაც დაწესებულება სთავაზობდა, სხვა არცერთი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ სთავაზობდა.

საბჭოს წევრის, გრიგორ ტატიშვილის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭო არ მოიქცა კოლეგიალურად. მისი განცხადებით, შეიძლებოდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ისე, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები არ დარღვეულიყო. ამასთან, დაწესებულების საჩივრის შინაარსის გაცნობის შემდეგ, მას არ გაჩენია დაწესებულების გულშემატკივრობის განწყობა. იმ პოზიციიდან გამომდინარე, რომ დაწესებულება აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ჰქონდა ფინანსური რესურსები, მაგრამ არ იხდიდა ამ ეტაპზე ჯარიმის თანხას. მისი განცხადებით, საბჭოს წევრის, ლაშა გოცირიძის განმარტებები საბჭოს სხდომაზე იყო უფრო დამაჯერებელი და შთამბეჭდავი, ვიდრე დაწესებულების წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული პოზიციები. გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა, რამდენად შესაბამისი იყო კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კერძოდ, როდესაც საგადასახდო უწყება ავალდებულებდა დაწესებულებას პირობითად უსაფუძვლოდ თანხის გადახდას, სასამართლოში ამ საკითხის გასაჩივრება აჩერებდა თუ არა ვალდებულების შესრულებას.

საბჭოს წევრის, ლაშა გოცირიძის განმარტებით, სადაო თანხის გადახდის ვალდებულება არ ჰქონდა დაწესებულებას. ამასთან, დაწესებულების ანგარიშს არ ედო ინკასო, რომელიც წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის მიერ თანხების ამოღების მექანიზმს. მისი შეფასებით, საბჭოს გადაწყვეტილება იყო არა უკანონო, არამედ იყო არასწორი. ამასთან, დაწესებულებამ უსაფუძვლოდ მიიღო დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. რეპუტაციული ზიანი მიიღო განათლების სისტემამ, უნივერსიტეტს ასეთი ზიანი არ მიუღია, რადგანაც მისი სიმართლე ძალიან მკაფიოდ იყო წარმოჩენილი. ლაშა გოცირიძემ ასევე განცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, აღნიშნული საბჭოს თოთოეულ წევრს ექნებოდა მორალური ტვირთი, თუკი ხელახლა განხილვის შედეგად ისინი დააკმაყოფილებდნენ უნივერსიტეტის მოთხოვნას, ეს მათი მხრიდან ერთგვარი აღიარება იქნებოდა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ეს წარმოადგენდა ჩვეულებრივ პროცესს და სააპელაციო საბჭოს ფუნქციასაც სწორედ ის წარმოადგენდა, რომ განეხილა გარკვეული საკითხები და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. მორალური საკითხების ჩართვა, არ იყო მიზანშეწონილი, რადგანაც ეს გავლენად შეიძლებოდა შეფასებულიყო. თუკი, ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდებოდა საკითხი, ის დადგენილი პროცედურის თანახმად, განიხილავდა მას.

საბჭოს წევრი, ზაზა რუხაძე გამოეხმაურა საბჭოს წევრის, გრიგორ ტატიშვილის შეკითხვას, ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ფასდებოდა, როგორს საკითხი, რომლიც არ იყო სიღრმისეულად შესწავლილი და უნდა დაბრუნებულიყო გადაწყვეტილების მიმღები საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად. ის იქნებოდა აღნიშნული გადაწყვეტილების მომხრე.

საბჭოს წევრის, ირაკლი მჭედლიშვილის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა 20 აგვისტოს მიიღეს ის გადაწყვეტილება, რასაც სამართლიანად და სწორედ მიიჩნევდნენ. სააპელაციო საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ის არ იყო მომხრე მწვავე შეფასებები გაკეთებულიყო ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ, მათ შორის კოლეგიალობიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა სააპელაციო საბჭოს წევრებს მოუწოდა თავი შეეკავებინათ საავტორიზაციო საბჭოს წევრების დამატებითი შეფასებისგან. მან ასევე განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭო შექმნილი იყო კანონმდებლობის შესაბამისად და არ უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული იურისტებისგან. ამასთან, საქართველოში იურისტებს ერთი განმარტება არცერთ საკითხზე არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრის, ზაზა რუხაძის განცხადებით, არ იყო საჭირო ავტორიზაციის საბჭოს ადვოკატირება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სააპელაციო საბჭოს წევრები არ უპირისპირდებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს. მან დამატებით აღნიშნა, რომ დავით აფრასიძე წარმოადგენდა საქართველოში გამორჩეულ ექსპერტს, პროფესიონალსა და ადამიანს.

საბჭოს წევრის, ნათია სამუშიას განცხადებით, ის არ წარმოადგენდა პროფესიით იურისტს, უბრალოდ ის ხშირად ეცნობოდა კანონებს. დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების 1 წლის ვადით შეზღუდვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას საკითხი ხელახლა განსახილველად დაბრუნებულიყო ავტორიზაციის საბჭოსთან და ის მიიღებდა შემდგომ დადებით გადაწყვეტილებას, დაწესებულებას მიეცემოდა შესაძლებლობა არ დაეკარგა სტუდენტების მიღების 2 ნაკადი. კერძოდ, დაწესებულებას უკვე დაკარგული ჰქონდა მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობა და თუ შეზღუდვა აღარ ექნებოდა, დეკუმშერში შეძლებდა განაცხადის გაკეთებას მომავალი წლის ჩარიცხვებთან დაკავშირებით. ამით დაწესებულება დაკარგავდა სტუდენტების არა 2 მიღებას, არამედ ერთს, რაც შედარებით შეამცირებდა მათ ზიანს. ნათია სამუშიამ ასევე აღნიშნა, რომ თავად წარმოადგენდა კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და მისი ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ დაწესებულებაში ჩარიცხულიყვნენ ეროვნულ გამოცდებში მაღალქულიანი სტუდენტები. მისი განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარმოადგენდა ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტს, რომელიც იყო ეროვნული გამოცდებში მაღალქულიანი სტუდენტების არჩევანი.

დაწესებულების ადვოკატმა, იოსებ ბარათაშვილმა პატივისცემა გამოხატა სააპელაციო საბჭოსა და ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის, დავით აფრასიძის მიმართ. დაწესებულების სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იქ პუნქტომბრივად იყო ჩამოყალიბებული, თუ რომელ სამართლებრივ ნორმებს არღვევდა ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საბჭოს სხდომაზე აღნიშნულის გასაბათილებლად ვერ იქნა წარმოადგენილი შესაბამისი არგუმენტები.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:20 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 20:47 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26<sup>7</sup>-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (ს/კ: 229275405) ავტორიზაციის საკითხი.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მეორე დღიდანვე ტარდებოდა დაწესებულების სტუდენტების სხვადასხვა სახის აქციები და გამოსვლები. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტუდენტების მობილიზება, თუ წარმოადგენდა თვითმობილიზებას, დაწესებულების ადმინისტრაციას ხელი უნდა შეეშალა აღნიშნულისთვის. მისი შეფასებით, არ შეიძლებოდა რომ ეს ახალგაზრდები გაზრდილიყვნენ იმ მორალით, რომ ქუჩაში გამოსვლით, ყველაფერი მიღწევადი იყო. მისი თხოვნა იყო, ეს კომპონენტი არ ყოფილიყო წახალისებული დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. გრიგორ ტატიშვილის განცხადებით, ეს წარმოადგენდა ასევე, ზეწოლას საბჭოს წევრებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 20:53 საათზე.

თავმჯდომარე

ნინო ოკრიბელაშვილი

მდიგარი

ზაზა რუხაძე

6. ოქტომბერი  
